# კონდომი

პრეზერვატივი (კონდომი) არის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისგან (მათ შორის აივ/შიდსისაგან) თავდაცვის საუკეთესო საშუალება.

**კონდომი:**

- არასასურველი ორსულობისგან თავის დაცვის საიმედო საშუალებაა.
- ხელს უშლის საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას.
- იაფია და მისი შეძენა ყველგან შეიძლება (მაგალითად, აფთიაქი და მაღაზია).

**გახსოვდეს, კონდომის გამოყენების წინ შეამოწმე მისი ვარგისიანობის ვადა. ვადაგასული კონდომი ადვილად იხევა.**

დაიცავი კონდომის შენახვის პირობები (მოარიდე მზის სხივებს და ნესტს.)



დაიცავი კონდომის სწორად გამოყენების წესები.

ყოველთვის გამოიყენე კონდომი.

## როგორ დავითანხმოთ კლიენტი კონდომის გამოყენებაზე



თუ კლიენტი ამბობს: “არანაირი დაავადების ნიშნები არ მეტყობა!”

შენ შეგიძლია უპასუხო: “სგგი-ს და აივ/შიდსს ხშირად გარეგნული ნიშნები არ აქვს.”

თუ კლიენტი ამბობს: “შენ რა, რამე გჭირს?”

# კონდომი

შენ შეგიძლია უპასუხო: “კონდომის გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ მე დაავადებული ვარ, სწორედ კონდომის გამოყენება მიცავს დაავადებებისაგან.”

თუ კლიენტი ამბობს: “ანალიზი მაქვს გაკეთებული და ჯანმრთელი ვარ.”

შენ შეგიძლია უპასუხო: “არსებობს შიდსი და უამრავი სგგი. ის ფაქტი, რომ ადამიანს უარყოფითი პასუხი აქვს რამოდენიმე ინფექციაზე, არ გამორიცხავს სხვა დაავადებების არსებობას. ასევე დაავადება შესაძლოა ანალიზის გაკეთების შემდეგაც.”

თუ კლიენტი ამბობს: “პრეზერვატივით სიამოვნებას ვერ ვიღებ!”

შენ შეგიძლია უპასუხო: “მე გაჩვენებთ, რომ სექსი პრეზერვატივითაც ისეთივე სასიამოვნოა, როგორც მის გარეშე.”

თუ კლიენტი ამბობს: “პრეზერვატივი პატარაა და შეიძლება გაიხეს.”

შენ შეგიძლია უპასუხო: “პრეზერვატივი არ გაიხევა, თუ დავიცავთ მისი გამოყენების წესებს.”

თუ კლიენტი ამბობს: “პრეზერვატივი თან არ მაქვს.”

შენ შეგიძლია უპასუხო: “არა უშავს, მე მაქვს.”

თუ კლიენტი ამბობს: “პრეზერვატივს არ გამოვიყენებ.”

შენ შეგიძლია უპასუხო: “მაშინ სექსი არ გვექნება.”


**კონსულტაციებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ: საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა’**

**თბილისი: ა. ქურდიანის №21, ☎251819**
**ბათუმი: დ. თავდადებულის № 11, ☎74213**
**ქუთაისი: ოცხელის №2**


Save the Children